№ 100 მაისი 14, ხუთშაბათი 1892 მაისი 14, ხუთშაბათი № 100


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირასს, 17 მაისს.

---

**თავადნი იოსებ გიორგის ძე და დავით ზურაბის ძე ანდრონიკაშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შაბათს, დილის 10 საათზედ ვერის წმ. იოანეს ღვთის-მეტყველის ეკკლესიაში დანიშნულია წირვა და შემდეგ პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის **თ. იასე ადამის ძის ანდრონიკაშვილის** სულის მოსახსენებლად. (1—1)

---

**დიმიტრი და ანტონ იოანეს ძენი აბაშიძენი და ხახული ხახუტის ძე აბაშიძე** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველნი მამისა და მეორე ძმისა თვისისა **დეკანოზის იოანე ხახუტის ძის აბაშიძისასა** და სთხოვენ მობრძანდნენ სოფელს სავანეში (შორაპნის მაზრა), წმ. გიორგის ეკკლესიაში, საცა, შაბათს, 16 მაისს, წირვის გადახდისა და ანდერძის აგების შემდეგ, დასაფლავებულ იქმნება მიცვალებული.

---

კვირას 17 მაისს

**მუშტაიდის ბაღში**

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გამართული იქმნება.

სახალხო სეირნობა

**ლატარია-ალეგრითა**

დაწვრილებით გამოცხადებულია აფიშებში.

---

გამგე კომიტეტი **„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის"** უმორჩილესად სთხოვს ზემოხსენებულ საზოგადოების წევრთ მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ ამა 1882 წლის 14 მაისს, 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში.

განსახილველია შემდეგი საგნები: ა) წლიური ანგარიში 1891 წლის პირველ აპრილიდგან 1892 წლის პირველ აპრილამდე; ბ) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ $18^{92}/_{93}$ წლისა; გ) სახლის შეძენა საზოგადოებისათვის. (3—3)

---

„საურთიერთო დამხმარებელ ამხანაგობის" კანტორა აუწყებს თავის წევრთა, რომ 17 მაისს, დილის 11 საათზედ, დანიშნულია საზოგადო კრება „ამხანაგობისა" სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში კანტორის მოქმედებისა.

2) ამხანაგობის ახალ წევრთა არჩევანი.

3) მორიგ საქმეთა განხილვა.

---

იძლევა ქირით

**სარდაფი**

ავჭალის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

18 მაისს, ორშაბათს,

საღამოს 7 საათზედ, ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზედ).

იქნება

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების**

საგანგებო კრება.

კრების საგნები:

1) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიშის განხილვა.

2) საზოგადოების ერთის წევრის საჩივრის გარჩევა წარსულ საზოგადო კრების შესახებ.

3) საზოგადოების წევრთა არჩევანი. (6—4)

---

საზაფხულო ქართული თეატრი

„ჩანგი"

ბ-ნ ა. ნებიერიძის მოთავეობით:

ხუთშაბათს, 14 მაისს,

წარმოდგენილი იქნება

I

**ძუნწი**

კომ. 3 მოქ., გ. ერისთავისა

II

**ოინბაზი**

ვოდევილი

**პირველი დებიუტი ბ-ნ გამრეკელისა**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი მმინაროვისა, გურგენიძისა; ბ-ნი ნებიერიძე, ადამიძე, გამრეკელი, მაჩაკარიანი და სხვ.

დასაწყისი 9 საათზედ.

ცხენის რკინის გზის მატარებლები დაუცდიან წარმოდგენის გათავებას და ხალხს წაიყვანენ რიყესა, გარედ-უბანსა და ვერაზე.

კვირას, 17 მაისს, იქნება ქართული წარმოდგენა და კონცერტი გურულების ამხანაგობისა.

---

## ახალი ამბავი

*** ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიურს კრებაზედ დღეს, 13 მაისს, გაცილებით უფრო მეტი ხალხი დაესწრო. კრებაზედ თავი მოიყარა სულ 130 წევრმა დამფუძნებელმა და 19 წევრმაც მსესხებელმა. კრება დაიწყო $11^{3}/_{4}$ საათზედ. უწინარეს ყოვლისა წაკითხულ იქმნა წინა დღის კრების ოქმი და დამტკიცდა მცირეოდენ შესწორების შემდეგ. შემდეგ კრებას წარედგინა ორი მოხსენება, ბანკის მმართველობის მიერ შედგენილი და ზედამხედველ კომიტეტისაგან დამტკიცებული: მოხსენება ქალაქ ბაქოსა და ბათომში ბანკის სააგენტოების შესახებ და მოხსენებავე იმის გამო, რომ მეოთხე წევრიც იქმნას დანიშნულ და ამორჩეულ ბანკის მმართველობისათვისაო. ამ ორმა მოხსენებამ, ერთად წარდგენილმა კრების თავმჯდომარეს მიერ კრების წინაშე, დიდი კამათი და ბაასი გამოიწვია. ამ ბაასისა და კამათის აღნიშვნას დაწვრილებით შემდეგ ვეცდებით. აქ-კი მოკლედ მოვიხსენიებთ, რომ დასასრულ, თვით ბანკის მმართველობის თხოვნით, მმართველობის მეოთხე წევრის არჩევანი გადაიდო და მორიგ საქმეთაგან იქმნა გამორიცხულ. მეორე საგანს-კი, სააგენტოების დაარსების შესახებ ჯერ ქალაქ ბაქოსა და შემდეგ ქალაქ ბათომში, კენჭი უყარეს. სულ 133 კენჭი იყო. სააგენტოების საქმეს 86 თეთრი კენჭი ამოუვიდა და 97 შავი. კრება დაიშალა საღამოს 6 საათზედ.

დღეს 14 მაისს თავად-აზნაურობა ჯერ სათავად-აზნაურო სასწავლებელში მოიყრის თავს, სადაც საგიმნასტიკო დილა იქნება გამართული, და შემდეგ, დილის 11 საათზედ კვლავ ბანკის საქმეთა განხილვას დაუბრუნდება. დღესვე, საღამოს 6 საათზედ, დანიშნულია კრება ტფილისის თავად-აზნაურთა საზოგადოების ღარიბ-მოსწავლეთა შემწეობისათვის. ამ საზოგადო კრების წევრად ირიცხება ყოველი წევრი-დამფუძნებელი ბანკისა.

*** როდესაც მისი უდიდებულესობა, ხელმწიფე იმპერატრიცა მშვიდობიანად მიბრძანდა მცხეთიდგან ქალაქ კავკავს, იქ სასახლის მინისტრმა გრაფმა ი. ი. ვარანცოვ-დაშკოვმა საქართველოს სამხედრო გზის კარგად შენახვის გამო მადლობა გადაუხადა და დაასაჩუქრა: მოიჯარადრე ხსენებულის გზისა იბრაჰიმ-ბეგოვი, ტფილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ბ-ნი ბოგუცკი და პ. ბელიავსკი.

*** დღეს, მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოება „ტფილისის კრუჟოკში" საყმაწვილო დღესასწაულს გაჰმართავს. ფასი დიდებისათვის 50 კაპეიკია, ხოლო ყმაწვილთათვის—25 კაპ.

*** „წერა-კითხვის საზოგადოებას" სალატარიოდ კიდევ შემოსწირა:

გიორგი აბრამის ძემ ხუციშვილმა—ჯიხვის ყანწი, ერთი ფიალა და დიმპლიპიტო.

*** მკურნალმა ვ. ვართანოვმა პროფ. ივ. თარხნიშვილის ასისტენტად ნამყოფმა, თავისი დისერტაცია წაიკითხა პეტერბურგის სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში და სამკურნალო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიიღო.

*** გუშინ, 13 მაისს, ნაშუადამევს ტფილისში რკინის გზაზე ვაგონებ შუა მოჰყვა რკინის გზის მოხელე სიგიზმუნდ გრეიმი და ბუფერებმა გასჭყლიტა.

*** ბაქოდამ მომავალს საქონლის მატარებელს ძალიან აბრკოლებს კალია. 11 მაისს ერთმა ამისთანა მატარებელმა დაიგვიანა 1 საათი და 15 წუთი, მეორემ—თითქმის ერთი საათი დაიგვიანა. 11 მაისსავე კალიამ შეაჩერა მატარებელი და ამ შეჩერების გამო ერთი ვაგონი გაფუჭდა. 11 მაისსავე კალიის გამო შეჩერდა საქონლის მატარებელი, ჯაჭვი მატარებლისა გაწყდა და ერთი ვაგონი გაფუჭდა. კარგია კიდევ რომ სხვა უბედურობა არა მომხდარა-რა. ყარაიაზიდამ, სადაც ამ ჟამად მრავლად მუშაობენ კალიის გასაწყვეტად, მოითხოვეს ნავთი ტფილისიდამ და გუშინწინვე, 12 მაისს, გაგზავნილ იქმნა მოთხოვნილი რაოდენობა ნავთისა. კალიას აგროვებენ ერთად და მერე ნავთ-გადასხმულს სწვავენ.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მიუწერა საერო სკოლების დირექტორებს, შემატყობინეთ ხოლმე ყოველთვის, ფული რომ იხარჯება სასწავლებლებში, რა და რა საქმეა იმ ფულით გაკეთებულიო.

---

# ფელეტონი

### სოფლის სურათები

რას ფიქრობს სოფელი ძველს კაცებზე, როგორები ვოფილან ისინი ტანად, თვალად, გონებით და ზნეობით? ტანად მეტად დიდრონები, ისე დიდები, რომ ეხლანდელს სახლებში იმათ მოკუზულებს მოუნდებოდათ სიარული. განა მარტო კაცები ყოფილან ახოვანნი, ხარ-კამბეჩებიც-კი. ერთის სიტყვით, ყველაფერი დიდრონი ყოფილა, მწყერი და კურდღელიც თითქმის. ეხლა ვინ-და დააცლის იმათ, რომ გაიზარდონ,—დღეს ყველა და ყველაფერი „დაწვრილმანდაო".

ძველები ზნეობით ფრიად აღმატებულნი ყოფილან, მართალნი, გულ-კეთილნი, უზაკვრონი, უზადონი, მაგრამ მაგარი ეს არისო, ამბობს სოფელი, რომ აჯამი ხალხი ყოფილა მაშინაო. სად ეხლანდელი ჭკვა და ეშმაკობა, სად მაშინდელიო!? ისეთი აჯამობა ყოფილაო, განაგრძობს სოფელი, ცეცხლთან მსხდარან, და რომ დასცხომიათ, იმის მაგივრად, უკან დაეწიათ, ლაფი უსვამთ ტანზედაო; დანასთან ხარი უთრევიათო. ყველას ქალამნები სცმია, წაღების კერვა არავის სცოდნია, ხელმწიფესაც ქალამნებით უვლია, მაგრამ გაბრაზიანებულა: მე რით უნდა გავირჩეოდე სხვებისაგან, მდაბიო ხალხსაც ქალამნები აცვია და მეცაო, ამდგარა და ოქრომკედით მოუქარგვინებია ქალამნებიო, მაგრამ ისევ ქალამნები ქალამნებად დარჩენილა და სახელიც ქალამნები ჰრქმევიაო.

თუმცა ამას ამბობს სოფელი ძველს კაცებსა და ძველს დროზე, მაგრამ მაინც უყვარს ის ძველი დრო და ის ძველი კაცები. თან სიმართლესაც ამბობს. მაშ რის სოფელია, თუ მართალი დამალა და არა სთქვა!? ბარაქალა სოფელს, რომ ამდენი სცოდნია; უნაკლულო არც კაცია და არც დროება, ყველას რამ ნაკლი აქვს, მაგრამ ჩვენ მაინც ნება არა გვაქვს ერთმანეთი შევიძულოთ და ძველი დრო „აჯამობისათვის" ვსწყევლოთ და ვაგინოთ, ზურგი შევაქციოთ და თავი აღარ მივიბრუნოთ იქითკენ.

დიაღ, სოფელმა თუმცა იცის ეს ნაკლი ძველისა, მაგრამ მაინც სულ იქით გაიყურება და მომავალს არ უცქერის; ამისათვის-კი, ძალიანაც რომ დამემდუროს, ვერ ვაქებ სოფელსა, თუმცა არ შემიძლიან, ბრალი არ ავხადო: რა ქნას, არ იცის, რას მოიტანს დღევანდელი დროება შემდეგში; მომავლისაკენ მის თვალებს შუა გზაში დიდი ჯანღი უწევს და ის უშლის ნამყო დროსაკენ ცქერას.

არც სხვა-და-სხვა საქმე და ძველი ანდერძი დარჩა სოფელს, ისე რომ ეჭვით არ შაეხედოს. ძველებსა სწამდათ, ვითომ დედამიწა სდგას უზარმაზარის ვეშაპის ზურგზე და ის ვეშაპი იძგნობს მთელს სამყაროსაო. სოფელს დღეს ეს აღარა სწამს: როგორ შაიძლება, არ შაიძლებაო; სად იქნება იმისთანა სულიერი, რომ დედამიწა გაიმაგროს, დაიძგნოსო?! ანკი რა ექნათ, იგონებდნენ, რაკი ნამდვილად საქმე როგორც იყო, ის არ იცოდნენო. ვითომ სოფელმა იცის დღეს, რა მოყვანილობისაა დედამიწა და ან რას უჭირავს იგი? არც ეს იცის, სიმართლით რომ ვსთქვათ, მაგრამ ის-კი არა სჯერა, რომ დედამიწა ვეშაპის ზურგზე იყოს აშენებული. მაშ ვინ იცის, რას უჭირავს დედამიწა? არავინ, ღვთის მეტმა, და, შეიძლება, იმან-კი იცოდეს, ვინც „ტელეგრაფია" და „ბარახოტი" მოიგონაო.

ვაჟა-ფშაველა

⁂ კვირას, 10 ამ თვისას, დიდუბისა, ქვაშვეთისა და დარიის მონასტრის სამრევლო საეკლესიო სკოლების მოწაფეთ მასწავლებლებითურთ ფეხით გაისეირნეს ავჭალაში, მხიარულად გაატარეს მთელი დღე და საღამოს 7 საათზე ფეხითვე დაბრუნდნენ ტფილისში.

⁂ ქართლიდგან გვწერენ, ამ დღეებში გორის მაზრის სოფელ ვაყას ერთმა მცხოვრებმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა დირბელი კაცი, ნიკოლოოზ აბულაძე.

⁂ ბორჩალოს მაზრის სოფ. ბოჩქანის მამასახლისის შვილმა ცრუა მარკოზოვმა თავის მამულში მოასწრო ვიღაც არხეიდოვს საქონლით, კეტი დაარტყა თავში და იქვე გაანთხევინა სული. მარკოზოვი დაიმალა და ეხლა პოლიცია დაეძებს.

⁂ ქალაქ ნახიჩევანს 1,000 მანათი შემწეობა მიუცია სომეხთა პოეტის გამარ-ქათიბასთვის (პატკანიანისთვის.)

⁂ ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურობამ 10 მაისის კრებაზე განიხილა სხვათა შორის საქმე სათავად-აზნაურო ფონდის დაარსებისა. ხსენებული ფონდი საზოგადო საქმეებს უნდა მოხმარდეს. თავად-აზნაურნი შეძლების კვალობაზედ ხუთ დასად არიან დაყოფილნი. პირველ დასის თავად-აზნაურს შეაქვს ყოველ წლივ 8 მან. ან 10 ფუთი ხორბალი, მეორე დასისას 5 მან. ან 6 ფუთი ხორბალი, მესამე დასისას 2 მ. 50 კ. ან 4 ფუთი ხორბალი, მეოთხე დასს ორი ფუთი ხორბალი, ან 1 მ. 50 კ. ხოლო მეხუთე დასი—შეუძლებელ თავად-აზნაურთა სრულიად თავისუფალია გარდასახადისაგან. ეს საქმე საკმაოდ კარგად ვერ ყოფილიყო გამორკვეულ-დადგენილი და ამიტომ შემდეგმა კრებამ უნდა განიხილოს, ხოლო მანამდე კომისიამ შეიმუშაოს.

⁂ კასპი: 11 მაისს, როცა აქედგან დაიძრა საქონლის მატარებელი, ერთი გლეხი, გვარად როსტომ შალუტაშვილი, გაექანა და უნდოდა ასულიყო ვაგონზე. კონდუქტორმა კოზირევმა არ მისცა გლეხს ამისი, ნება, ჰკრა ფეხი გლეხს, რომელსაც ვაგონის თვალ ქვეშ ჩაუვარდა ფეხი და თვლებმა საცოდავს მარცხენა ფეხის თითები სულ ერთიანად დაასხვიპა. დაშავებული გაჰგზავნეს ტფილისის სარკინისგზო სამკურნალოში.

⁂ სოფ. ბეთლემი (სენაკის მაზრა): წარსულ თვის უკანასკნელ რიცხვებში ჩვენკენ შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: დაბა ძველ სენაკიდგან წამოსულიყო ეტლით სოფ. ბეთლემში, მიცვალებულის სატირლად, ერთი ოჯახობა. მოუხლოვდა თუ არა სოფელს, ეტლი გადაბრუნდა და ქვეშ მოიყოლა მხედომნი. ერთი ქალი სასიკვდილოდ დაშავდა და იმავ წამსვე განუტევა სული. დანარჩენები და მეეტლე ძალიან დაშავებულნი არიან, მაგრამ სასიკვდილო არა უჭირთ-რა.

არ იქნა და არა, ამ ადგილას გზა ვერ გაკეთდა. ამას წინად აქ გზების გაკეთება დაიწყეს და გვარიანად შეალამაზეს, მაგრამ ის ადგილი-კი გაუკეთებელი დარჩა. სულ-კი ათის საჟენის მეტი არც-კი იქნება ამ ადგილას გზა და, ვინ მოსთვლის, მაგ ათ საჟენიან ადგილას, რამდენს მგზავრს რამდენი ტანჯვა-წვალება გამოუვლია, მეტადრე ზამთარში, რამდენი დატვირთული ურემი და ცხენი დასახიჩრებულა... ამ ადგილას გაკეთება აუცილებელი საჭიროებაა არამც თუ მარტო აქაურებისათვის, არამედ თითქმის მთლად სენაკის მაზრისათვისაც. აქაურები მის გაკეთებას დიდის აღტაცებით მიეგებებოდნენ, ოღონდ-კი რამე ეშველებოდეს.

⁂ იქიდამკე: ჩვენკენ ხვნა-თესვა ნახევრობით გათავებულია; აქამდის გათავდებოდა კიდეც, რომ ხანგრძლივი გვალვები არ დამდგარიყო. ამ მაისში საკმაოდ ცივა. მოარულიც ალაგ-ალაგ თავს იჩენდა. ვაზსაც გვარიანად ასხია ჯერ-ჯერობით, როგორც „იზაბელას", აგრეთვე ჩვენებურ „სვანურსაც"...

⁂ ბორჩალო: სოფელს ტანძიაში თ. გ. ორბელიანის საკუთარ სოფელსა და მამულში დატრიალდა შემდეგი უბედურება: ამ სოფელში მცხოვრებელი თათრები დაეცნენ თავიანთ მეზობელ ქართველ მწყემსებს, პირველში ჩხუბი მოუვიდათ ქართველსა და თათარს. თათარმა, როგორც დაუნდობელმა კაცმა, თოფი გადმოიღო, ჩაავდო პატრონა და უნდა დაეცა გულში ქართველისათვის, მაგრამ იმ ხანად იქვე იყო ქართველი მწყემსი მიხეილ იბრიმაშვილი, რომელიც მივარდა თათარს, თოფი წაართვა ხელიდგან, გასტყორცა შორს და ცდილობდა მშვიდობიანად გაეშორებინა მოჩხუბარნი. მაგრამ თათარმა ახლა რევოლვერი ამოიღო და ვინც თოფი წაართვა, იმას დასცა მუცელში. თუმცა დაჭრილი ჯერ ცოცხალია, მაგრამ ჭრილობა მაინც სასიკვდინოა. ლევან იბრიმაშვილი ხანჯლით არის სამგან ბეჭებში დაჭრილი და თავიც გაჩეხილი აქვს. მისი მორჩენა ადვილია.

ამ სოფლიდგან ამ გამოზაფხულზე რამდენიმე კომლი გლეხი აიყარა და სხვა სოფელში გადასახლდა თათრების შიშით. დარჩა კიდევ აქ შვიდიოდე კომლი და ამათაც არასფერს კეთილს დააყრიან, თუ თავს არ უშველეს და დროზედ არ აიყარნენ აქედგან. სულ განუწყვეტელი ქურდობაა და კაცის ჩეხა და კვლა.

⁂ 11 მაისს, საღამოს 9 საათზე, პოლიციის მეცხრე ნაწილში საიდა ბეიამინოვის ჩაის სასმელს დუქანში ნუთვალი იბრაჰიმ-ოღლიმ დანით დასჭრა არშაკ ხანამიროვი. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს, დამნაშავე-კი შეიპყრეს.

## საქმეს მივეშველოთ!

(წერილი რედაქციის მიმართ)

აგერ მეოთხე წელიწადია, რაც ერთი პატარა წრე ქართველ ქალებისა მეცადინეობს, ჯაფას სწევს, ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ფული მოაგროვოს საყოველთაოდ, სასიქადულო და საშვილიშვილო საქმის დასაწყებად—ჩვენ ქართველ ქალთა სკოლის დასაარსებლად.

თავს არ მოვაბეზრებ მკითხველს არც ამ გვარის სკოლის მნიშვნელობისა და არც იმის პროგრამის შესახების ლაპარაკით. ამაზედ გაზეთებში ბევრი ყოფილა დაწერილი და ბანკის კრებაზედაც არა ერთხელ ულაპარაკნიათ. ნათქვამსა და დაწერილს მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ თვით რუსეთში ეხლა დაფაცურდნენ და აპირობენ გამართონ ქალებისთვის სამეურნეო სკოლა თითქმის იმავე პროგრამით, რა პროგრამმაც შეიმუშავა ჩვენმა ქალების წრემ.

ეხლა ის არის სათქმელი, რომ, საჭიროა, რაც შეიძლება მალე და ძალიან მალე დამთავრდეს ეს საქმე, რადგან უმთავრესი იმედი ჩვენის დაცემულის ოჯახის კეთილდღეობის აღსადგენად უფრო ამისთანა საქმეზედ უნდა იყოს დამყარებული.

ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „დედა-კაცი ოჯახის ბურჯიაო, გინდ დააქცევს ოჯახს, გინდ ააშენებსო."

ამ ქალების წრის მეცადინეობას სამი-ოთხის წლის განმავლობაში ის მოჰყვა შედეგად, რომ ხუთას-ექვსასი თუმანია დღეს მოგროვილი მთელ საქართველოში, ისიც დიდის გაჭირვებით და თავ-დადებით. ყველა იმას გაიძახის: საქმე არა სჩანს, რა უნდა მოგცეთო".

ამის პასუხად მოგახსენებთ, რომ ჩვენს ქალებს შეეძლოთ კიდეც ამ ცოტაოდენის ფულით საქმე დაეწყოთ, ე. ი. სკოლა გაემართათ და მერე მოჰყოლოდნენ გოდებას: „დავიღუპეთ, მოგვეშველეთ, თორემ ლამის დაწყებული და ფეხზედ დაყენებული საქმე ჩაგვეშალოსო".

იქნება ამ გოდებით ცოტაოდენი ფული ეშოვნათ, მაგრამ საქმე მაინც საფუძვლიანად არ იქნებოდა დაყენებული და ყოველთვის შიში გვექნებოდა საქმის ჩაფუშვისა.

მაშ ქალების წრე საფუძვლიანად ამბობს, რომ ჯერ უნდა თანხა ვიშოვოთ და მერე დავიწყოთ საქმეო.

ათი ათას თუმანზედ ნაკლები თანხა რაღა უნდა იყოს, თუ სკოლის სამეურნეო განყოფილებას რიგიანად მოაწყობენ და პანსიონიც გაიმართება, რაიცა თავად-აზნაურთათვის აუცილებლად საჭიროა.

ვსთქვათ, ქალების წრე ამას იქით ერთი-ორად მეტად გაისარჯოს და ყოველ წლივ აგროვოს ორას თუმნობითა. ამ ათი ათასის თუმნის მოგროვებას ხომ ოთხმოც-და-ათი წელიწადი მოუნდება. მაშასადამე, მანამ არათუ ჩვენ აღარ ვიქნებით ცოცხალი, არამედ ჩვენი ძვლებიც აღარსად იქნება. ვინ იცის, იქნება მაშინ აღარც-კი დაგვჭირდეს ამ გვარი სკოლა. „სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძვრესო".

მაშ რა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ვეღირსოთ ქალთა სკოლის დაარსებას?

ქართველი საზოგადოება არა ჰმალავს თავის ჯიბის სისუსტეს და ცხადად ამბობს: ფული არა გვაქვს, რაც უნდა სასიქადულო საქმე იყოს, ჩვენ ცარიელ ჯიბიდგან ვერას მოგაწოდებთ. აი, ბანკი, იმის მოგებიდგან ითხოვეთ ფული და განა ეგეც ჩვენი მოცემული ფული არ იქნებაო?

ქალების წრეც ეს ორი წელიწადია ზედი-ზედ სთხოვს ბანკის წევრთა საზოგადო კრებას მონაგებიდგან უწილადეთ ფული ამ საქმესაო. მაგრამ მისი ვედრება რჩება ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა.

ბანკის კრება სიტყვით და ლაპარაკით თანაუგრძნობს ამ საქმეს, ჰხედავს, მგონი, სკოლის დაარსების აუცილებელ საჭიროებას, მაგრამ, როცა მონაგების ფულის განაწილების დრო დადგება, „ქალების სკოლას" უკან დააყენებს ხოლმე: ამ წელს ფული არა გვაქვსო, როცა მოგცემთ, ერთბაშად ბევრს მოგცემთო. ამისთანა დაპირება ერთს ანდაზას მოგვაგონებს: «ცოტა არ მაკადრიანო, ბევრი არ მაღირსიანო». და ასე ამ გვარად ბანკის წევრთა კრება არიგებს წვრილ-წვრილად, აქეთ-იქით ორმოცდა-ათ თუმნობით და ას-ას თუმნობით და თითქოს არა ჰგრძნობს, რომ სკოლის გამართვის დაგვიანებით ზარალი ეძლევა თვით თავად-აზნაურობის ოჯახს.

კიდევ ვიმეორებ, რომ დედაკაცი, ცოლია თუ დედა, თუ ვერ ახერხებს თავის ოჯახს გაუძღვეს ღირსეულად და ცოდნით, სახლს პირქვე დასცემს და ადვილად ჩააქრობს კერაში ცეცხლს.

წელს, როგორც სჩანს, ბანკს კარგი მოგება დარჩა. ვნახოთ, გაიმეტებს თუ არა ჩვენი თავად-აზნაურობა ამ საქმის დასაგვირგვინებლად ერთი ორი ათას თუმანს მაინც. სხვა ქვეყნებში რომ ამ გვარად ყოფილიყო საქმე, არა თუ ბანკის ნაღდ მოგებიდგან გადასდებდნენ ფულს ამისთანა სკოლისათვის, არამედ თითოეულიც-კი იმას ეცდებოდა, რომ თავის შემოსავლიდგან მესამედი ნაწილი მაინც ეწილადებინა ასეთის უსაჭიროესის საგნის სასარგებლოდ.

ვინმე ქალი

## რუსეთი

ჟურნალ „Руская Школа"-ს აპრილის წიგნში დაბეჭდილია ცნობილის პროფესორისა და ყმაწვილების მკურნალის ბ-ნ ბისტროვის წერილი ეგზამენების შესახებ. ბ-ნი ბისტროვი სწერს: „მე თითონ მრავალჯერ დავსწრებივარ ეგზამენებზედ და შემთხვევა მქონდა ათასობით გამომეცადნა მოწაფეები. ამასთანავე მუდამ, როგორც მკურნალს, თვალი მიდევნებია საეგზამენოდ მოსული ყმაწვილებისათვის და შემიძლიან დაბეჯითებით ვსთქვა, რომ ეგზამენები ძლიერ მავნებელია მოსწავლეთათვის. ამას მე ადვილად დავამტკიცებ. ავიღოთ უნივერსიტეტში მოსწავლე სტუდენტები, რომელნიც ბავშვები აღარ არიან, გიმნაზიაში სწავლა დაუმთავრებიათ და თითონვე ძალ-დაუტანებლად სამედიცინო ფაკულტეტი აურჩევიათ. როგორ გგონიათ, როცა უნივერსიტეტის სტუდენტი ეგზამენზედ მოდის, იმას ჰფიქრობს, რომ ეს ეგზამენი მხოლოდ იმისთვის არის დანიშნული, რომ პროფესორებმა გამოცადონ და შეიტყონ, თუ რა სწავლა შეუძენია და შეუძლიან თუ არა ადამიანის სხვა-და-სხვა სენის წამლობაო? სულაც არა. მე შემინიშნავს, რომ 100 სტუდენტიდგან 90 ჰკრთება, სუნთქვა უძნელდება და ფერ მიხდილი, გონება დაბნეული გვაძლევს პასუხს იმისას, რასაც ვეკითხებით. ვხედავთ, რომ ეგზამენის დროს სტუდენტს ტუჩები გამშრალი აქვს, ხელები უკანკალებს; ერთის სიტყვით, კაცი აღელვებულია. ჩვენის სამკურნალო მეცნიერების პროფესორებმა ძლიერ კარგად ვიცით ყველა ეს. და მუდამ ტკბილად და ალერსიანად ვეპყრობით სტუდენტებს, ვსთხოვთ, რომ დამშვიდნენ, ჯერ კარგად დაფიქრდნენ და შემდეგ გვიპასუხონ. მაშ რაღა მოეთხოვებათ პატარა ბავშვებს, რომელთაც უფროსებისა და სხვა მასწავლებლების დანახვისაც-კი ეშინიანთ ეგზამენზედ—და რომელთაც გონება ჯერ საკმაოდ არა აქვთ დამდგარი, დადინჯებული."

შემდეგ ბ-ნი ბისტროვი ცხადად ამტკიცებს, რომ ხშირად ეგზამენებში მოწაფეს გამარჯვება უბრალო შემთხვევას მიეწერება. რომელს მკურნალსა, მათემატიკოსს, ისტორიკოსს, სასწავლებლის დირექტორს ან მასწავლებელს შეუძლიან სთქვას, რომ სასწავლებელში ყველა საგანი რიგიანად და უნაკლულოდ შემისწავლიაო. გამოჩენილს ენების მცოდნეს ადვილად შესცდება ლოგარითმების უბრალო ამოცანა და გამოჩენილმა მათემატიკოსმა შეიძლება არ იცოდეს უბრალო ფორმა ბერძნულის გრამატიკისა. ნუ თუ ამიტომ ნასწავლნი და სასარგებლო მოღვაწენი არ არიან: ენების გამოჩენილი მცოდნე, ან კიდევ მათემატიკოსი? რამდენჯერ მოხდება ხოლმე, რომ ერთის საგნის უცოდინარობის გამო მოსწავლეს შეძლება ერთმევა უმაღლესს სასწავლებელში სწავლის დამთავრებისა და საყვარელ საგნის შესწავლისა!

შემდეგ ბ-ნი ბისტროვი ამბობს: „ეგზამენი საჭიროა იმ კაცისთვის, რომელსაც სურს რაიმე უფლება მოიპოვოს, მაგალითად, დაპლომი მკურნალისა, ინჟენერისა, იურისტისა და სხვ. ეგზამენი საჭიროა აგრეთვე გიმნაზიისა და სხვა სასწავლებელში სწავლის დასრულების დროს. ეგზამენია საჭირო აგრეთვე, როცა მოწაფე ერთ სასწავლებლიდგან მეორე სასწავლებელში გადადის, ან არა და ახლად შედის სასწავლებელში. მაგრამ, როცა მოწაფე სკოლაშია, მაშინ სრულებით საჭირო არ არის ეგზამენები. მასწავლებელს უმისოდაც შეუძლიან შეატყოს, ვინ არის ღირსი შემდეგს კლასში გადაყვანისა და ვინ არა. მე დარწმუნებული ვარო, ამბობს დასასრულ ბ-ნი ბისტროვი, რომ თუ სასწავლებლებში კლასიდგან კლასში გადასაყვანად ეგზამენები აღარ იქნება, მაშინ ვეღარავინ დაგვაყვედრებს, რომ ჩვენი სასწავლებლები ჯან-მრთელსა და საღს ყმაწვილებს ვერა ზრდიანო."

## უცხოეთი

**გერმანია.** გაზეთ „Pall - Mall Gazette"-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ერთის კორესპონდენტისა: „ამ რამდენისამე დღის წინად გრიუნენვალდში ვიყავ შარლოტენბურგის მახლობლად და საშინელმა წვიმამ მომასწრო. ახლომახლო წვრილის ხეების მეტი არა იყო-რა და თავის შეფარება არ შემეძლო. უეცრად დავინახე რაღაც თავლა და იქით გავიქეცი. შევეფარე და ჩიბუხი გავაჩაღე. ზედდატანებით იქვე მოვიდა მეტყევესავით მწვანე მუნდირ ჩაცმული ახალგაზდა კაცი, სალამი მომცა და იქვე ჩამოჯდა. რამდენსამე ხანს შემდეგ უცნობმაც ამოიღო ჩიბუხი, მაგრამ წუმწუმა-კი ვეღარ მოიხელა ჯიბეში. ავიღე და მე შევთავაზე. ჩიბუხს რომ უკიდებდა, უცნობი ისე დამელაპარაკა ინგლისურად, რომ უთუოდ ინგლისელი უნდა ყოფილიყო:

— ინგლისელი ბრძანდებით?

— თქვენ ინგლისელი ბრძანდებით-მეთქი?—შევეკითხე კიდევ მე.

— არაო, მიპასუხა და გაიღიმა.

— შესანიშნავი ამბავია, რომ გერმანელებმა ასე კარგად იციან-მეთქი უცხო ენები.

— დიდი განსხვავებაა ჩვენს სკოლებსა და თქვენს სკოლებს შორის.

— დიაღ, მართალია, მგონი იმისი თქმა გნებავთ, რომ ჩვენ არაფერსა ვსწავლობთ და გერმანელები-კი ყველაფერსა სწავლობენ! მაგრამ მე მაინც ჩვენს სკოლებს ვამჯობინებ თქვენებსა.

— ნება მიბოძეთ გკითხოთ: რითა?

— იმითი, რომ ჩვენს სკოლებში ხასიათს უმუშავებენ და გერმანულს სკოლაში-კი არა. ორი ძმის-წული მყავს გერმანულს სკოლაში, გიმნაზიას რომ ეძახიან. საწყლები, სწორედ დამონავებული ჰყავთ!

— თქვენი აზრი სრულებით არ არის მართალიო, მიპასუხა უცნობმა.

— არა, ეგ მხოლოდ თქვენა გგონიათ ეგრე. საგანი გერმანულ სკოლებისა, ჩემის აზრით, ის არის, რომ ყმაწვილები მონობაში აღზარდონ, ხოლო ჩვენა ვცდილობთ—თავისუფალი, დამოუკიდებელი კაცები გავხადოთ.

უცნობი ახალგაზდა გაჩუმდა და პატარახანს შემდეგ მითხრა: „გამოიცვლება“-ო.

მე მეგონა, დარის გამოცვლაზე, გამოდარებაზე მელაპარაკება-მეთქი და ამიტომ მეც ასე ვუთხარ:

— დიაღ, საცაა მზე გამოვა.

უცნობმა გაიღიმა.

— მეც ეგრე მგონია, მაგრამ გამოდარებაზე-კი არ მოგახსენებთ, არამედ სკოლის წეს-წყობილებასა და სისტემის თაობაზე ვსთქვი, შეიცვლება-მეთქი.

— ჰო, თქვენ იმასა ბრძანებთ, რომ ახალგაზდა იმპერატორი ვილჰელმი სხვა ნაირად მოეკიდა ამ საქმეს!

— დიაღ, სწორედ ის ახალგაზდა იმპერატორი შესცვლის. სიტყვა იმპერატორი უფრო ტკეპნითა სთქვა უცნობმა.

— მართალია-მეთქი, ვუთხარ მე: ახალგაზდა იმპერატორი ცდილობს, რომ ყოველისფერი, რაც-კი შეუძლიან, გააკეთოს. ძლიერ გამბედავი ახალგაზდა კაცია და მეც ყოველთვის ყურადღებას ვაქცევ იმის განაკეთებს საქმეებსა.

— ეგრე სხვანიც ბევრი იქცევიან, მაგრამ მხოლოდ კრიტიკის გულისათვის.

— ეგ ხომ საქმეს არას ავნებს. იმ ახალგაზდა იმპერატორსაც, უეჭველია, თავისი ნაკლულევანება ექნება. ნათქვამია, ყმაწვილი რომ დაიბადება, ორი რქა დაჰყვება და, ვიდრე იმ რქებს არ მოიცვეთს, მანამდე კაცად ვერ იქცევაო.

— მერე განა იმპერატორსაცა აქვს რქები?

— ჯერ კიდევ სულ ვერ მოუცვეთია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ძლიერ საკვირველი კაცია. მართალს არ ვამბობ?

— არ ვიცი.

— აბა ერთი მოიგონეთ, რა საქმეები ჩაიდინა! ავიდა თუ არა ტახტზედ, ჯერ ბისმარკის ერთგული შეიქნა და იმ დრომდე უერთგულა, ვიდრე არ დარწმუნდა, ბისმარკი ძველი მტარვალი არისო. შემდეგ ბისმარკი დაითხოვა სამსახურიდგან და დაიწყო ცვლილებათა შემოღება სკოლებსა, ჯარსა და საქმეებში...

— და მაგის გულისთვის უხასიათოს ეძახიან!

— დიაღ, ის სწორედ უხასიათოც არის! სუყველაფრის გაკეთება ერთბაშად უნდა. ასე ჰგონია, ყველაზე კარგად მე ვიცი ყველაფერიო.

— არა, არა! იმას ეგ სრულიადაც არა ჰგონია!

— ვშიშობ, რომ ხალხი ძლიერ გადაჭარბებით ლაპარაკობს. მგონია, იმპერატორი მოხარული იქნება, რომ თავი დაანებონ!

— ეგ მაშინ მოხდება, თუ იმპერატორი გადადგება.

— გადადგებაო! გაკვირვებით განიმეორა ახალგაზდა უცნობმა, თითქოს შეეშინდა ამ სიტყვებისაო.

— ყველა სახელმწიფო მოღვაწეს თანა სდევს კრიტიკა და ისიც უნდა შეეჩვიოს. მე ჩემით ვურჩევდი იმპერატორს, რომ ინგლისური გაზეთები იკითხოს ხოლმე.

— რათა?

— იმიტომ რომ იმ გაზეთებში ბევრი ტყუილი ეწერება და ბევრი მართალიც იმის შესახებ.

— დიაღ, ეგ მართალია. იმპერატორი კიდევაც კითხულობს ინგლისურს გაზეთებს.

— ამბობენ, ძლიერ გაჯავრებულია „Punsch“-ზეო.

უცნობმა გაიცინა.

— თქვენ იმ ერთის ლექსის თაობაზე ლაპარაკობთ. მე მგონია, რომ იმპერატორი ყურადღებას არ მიაქცევს მაგ ნაირს ლექსებს.

— თუ ეხლა ვერ მოიქცევა ეგრე, შემდეგისთვის მაინც შეეჩვევა ეგრე მოქცევას. მე მჯერა, რომ დიდი კაცი შეიქმნება—იმპერატორს ძლიერ კარგად აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა ღვთისა და კაცის წინაშე და, თუ ზომიერობა ისწავლა, გამარჯვება იმისია, ე. ი. თუ...

უცნობმა ჩაციებით შემომხედა.

— თუ რა?

— თუ კარგად იქნება.

უცნობი საჩქაროდ წამოდგა.

— გმადლობთ, რომ ეგეთის აზრისა ყოფილხარ ჩემ შესახებ. ღვთის შეწევნით ყველაფერს გავაკეთებ ჩემის ერისათვის, რაც-კი შეიძლება. მე გერმანიის იმპერატორი გახლავართ.

იმპერატორმა მაგრა ჩამომართვა ხელი და მითხრა:

თუ თქვენს თანამემამულეებთან მოგიხდეთ ჩემ შესახებ ლაპარაკი, უთხარით, რომ შემიყვარდა თქვენი ხალხი გულ-წრფელობისათვის. მშვიდობით!

იმპერატორმა გადიგდო თოფი მხარზე და წავიდა“.

## წვრილი ამბავი

### ერთი დღე XXI საუკუნის საპატიმროში

ამ სათაურით ერთი წიგნაკი გამოსცა J. Nchebeen-მა. „საღამოთი ერთს წიგნს ვკითხულობდიო, სწერს ამ წიგნაკის ავტორი. წიგნაკში ეწერა, რომ უნდა ვეკადნეთ პატიმართა მდგომარეობა გავაუმჯობესოთო. წიგნის კითხვაში დამეძინა და სიზმარში ვნახე XXI საუკუნის საპატიმრო, რომელიც დიდის ყურადღებით დავათვალიერე. XXI საუკუნის საპატიმრო წარმოადგენდა მშვენიერს დიდს შენობას, რომელთანაც შედარებით ეხლანდელი საპატიმროები უბრალო ქოხებს ჰგვანან. XXI საუკუნის საპატიმროს გარს არტყია მშვენიერი ბაღი. შესავალ კარებთან დამხვდა მდიდრულად ჩაცმული კარის-კაცი, ზრდილობიანად თავი დამიკრა და მკითხა: „აქ ისურვებთ დასახლებას, თუ მხოლოდ საპატიმროს დათვალიერება გსურთ?“ მე ვუპასუხე: „დათვალიერება-მეთქი“. კარის კაცმა საპატიმროს დირექტორის მშვენივრად მორთულს კაბინეტში შემიყვანა. დირექტორმაც მეტად ზრდილობიანად მიმიღო და ერთს ახალგაზდა, 25 წლის კაცს უთხრა, რომ ჩემთვის მთელი საპატიმრო ეჩვენებინა. ეს ყმაწვილი კაცი „გამოჩენილ“ პატიმარის ჩამომავლობისა იყო, ძლიერ ნიჭიერი და განათლებული და საპატიმროს ერთს კონსერვატიულს „საპატიმროს გაზეთში“ ჰბეჭდავდა შესანიშნავს საისტორიო წერილებს ჩვენი დროის საპატიმროთა შესახებ. დიაღ, XXI საუკუნის საპატიმროში გაზეთიც გამოდის და არა ერთი. აქ ყველა მიმართულების გაზეთები მოიპოვება: ნაციონალ-ლიბერალური, რომელიც საპატიმროს დირექტორის ყველა განკარგულებას იწონებს, თავისუფალი მოაზრე, რომელიც მუდამ დირექტორს ებრძვის, და სხვა. პატიმრებს არა სჯიან. საპატიმროს დირექცია ისე იქცევა, რომ ავაზაკები საპატიმროდგან განთავისუფლების შემდეგ საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასარგებლო წევრებად შეიქმნენ. ბ-ნ პატიმართაგან საგანგებო კომიტეტია შემდგარი, რომელსაც მინდობილი აქვს საპატიმროს საქმეების მართვა. საპატიმროში წიგნთ-საცავიც არის, რომელშიაც მრავალი სხვა-და-სხვა სასარგებლო წიგნია. პატიმრებს ფარაჯები-კი არ აცვიათ, ყველას რამდენიმე ხელი მშვენიერი ტანთსაცმელი აქვს. საპატიმროს კიბეები და დერეფნები დაგებულია ძვირფასის ხალიჩებით. ამ საპატიმროში ვერც ერთს დარაჯს ვერა ჰნახავთ. ან რა საჭიროა დარაჯები? ვინ გაიპარება ამ ნაირ საპატიმროდგან? პატიმრების ყველა ოთახები მორთულია სუნნელოვანის ყვავილებითა, სურათებით, ძვირფასის ავეჯითა და სამკაულით. საპატიმროში მუდამ დღე მშვენიერი მუსიკა უკრავს საღამოს 7 საათიდგან 10 საათამდე. სამს ქვემო სართულში მდიდარი პატიმრები სცხოვრობენ, ე. ი. ქურდები, მცარცველები, გაიძვერები, სხვის ქონების შემჭმელნი და სხვა. ეს ბატონები თავის ხარჯით სცხოვრობენ საპატიმროში, ასე რომ, იმედია, რამდენისამე ხნის შემდეგ სახელმწიფოს ზარალი-კი არ ექნება, არამედ, პირ იქით საპატიმრო წმინდა მოგებას შემოუტანს... საპატიმროში ძლიერ ცოტა კაცის მკვლელი და მოჩხუბარია. თითქმის სუყველანი ქურდობისთვის არიან დაპატიმრებულნი. ესეც კარგი ნიშანია! პატიმრებს ყველას ფული აქვთ და მათ შენახვაზედ გროშიც არ ეხარჯება სახელმწიფოს. სადილ-ვახშამი მშვენიერი აქვთ პატიმრებს, მზარეული ჩინებული, ღვინო საუკეთესო. საპატიმროს ადმინისტრაცია საბუთიანად ფიქრობს, პატიმრებს რომ ღვინო არ დავალევინოთ, სმას გადაეჩვევიან და როცა ციხიდგან გამოვლენ, ღვინო ძლიერ მოეკიდებათ, დაითრობიან და ხელმეორედ რაიმე ავაზაკობას ჩაიდენონო. მოსამსახურედ სულ ახალგაზდა, ლამაზი ქალები არიან. ესეც ძლიერ ჩინებული განკარგულებაა, რადგანაც ლამაზი ქალის დანახვა კაცს გულს ულბობს და სიბოროტეს აღმოუფხვრის გულიდგან. საპატიმროში ერთი მკურნალიც ვნახე. ეს მკურნალი თითონ ავაზაკია და საპატიმროში იკვლევს ბოროტის ჩადენის ბაცილას, განსაკუთრებით ბაცილას მკვლელობისას. ეს მკურნალი მიმტკიცებდა, რომ ცოტა ხანში ბოროტების ჩადენის ბაცილას აღმოაჩენდა მაშინ მთელი კაცობრიობა გაბედნიერდება და ადამიანი ანგელოზად გარდაიქცევაო. საღამოთი მეჯლისი გაიმართა ბ-ნ კრონას სასარგებლოდ, რომელიც მედგრად იბრძვის დამნაშავეთა და ავაზაკთა უფლებისთვის. მეჯლისმა ძლიერ მხიარულად ჩაიარა. პატიმრებმა მრავალი სადღეგრძელო და ჭკვიანური სიტყვა წარმოსთქვეს. მეც პატიმართა სადღეგრძელო ბევრი დავლიე, შემდეგ საპატიმროდგან გარედ გამოვედი, რომ სუფთა ჰაერი ჩამეყლაპა. და... გამომეღვიძა კიდეც“.

### წერილი რედაქციის მიმართ

ჩემდა რწმუნებულის სკოლის შეგირდების სახელით გულითადს მადლობას ვუცხადებ ბ-ნს კ. თავართქილაძეს, რომელმაც სკოლას შემოსწირა 10 ცალი წიგნი „ამპარტავანი გიორგი“.

ქვემო-სურების სასოფლო სკოლის მასწავლებელი

ისიდორე რამიშვილი

## ნაბოლიარი

საკვირაო გაზეთი, № 3.

ძველ-ახალი ამბები.

*** დაიწყო ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის წევრთა კრება და ჩვენს „რესტორან-გასტინიცებს“ რამდენიმე კეთილ-შობილი, ხანჯლიანი მუშტარი მოემატა.

წლევანდელი კრება, მითქმა-მოთქმას რო დავუჯეროთ, მეტად ცხარე რამ უნდა იყოს, ასს გრადუსიანს სპირტს გადააჭარბებს თურმე.

„ოპოზიცია“ მეტად გაბრაზებულია ბანკის მმართველების „სიზარმაცით, დაუდევრობით, გულ-ქვაობით, გულგრილობით, გულ-ხელ დაკრეფით(!), აწინდელის (!) საქმის წარმოებით, შინაგანის უსაქმურობით (!), უაზრობით, უშინაარსობით“ და სხვა რაღაებითაც.

ეს რაღაებიც „ოპოზიციამ“ ცალკე წიგნად დაჰბეჭდა და ყველა წიგნის საავაჭროებს ჩააბარა გასასყიდად.

გთხოვთ და ვურჩევთ ჩვენს კეთილ-შობილებს, არ დაიშურონ თვითო აბაზი, იყიდონ ეს წიგნი და კარგად, დაკვირვებით გადიკითხონ. ვინც მუშტაიდამდის, ან „ვაზამდის“, ფაიტონის მაგივრად, კონკით წაბრძანებას ივადრებს საქეიფოდ, წიგნი მუქთად დაუთმობა, ყვანაც უფასოდ წამოვა და „კანცის“ ფულიდგან ორიოდე გროში ეკონომიაც დარჩება. თვითონაც ისარგებლებს, წიგნსაც შეიძენს, თავის ავლადიდება-ბანკის შესახებ ბევრს რასმეს გაიგებს და „ოპოზიციასაც“ საშუალებას მისცემს მეორე და მესამე წიგნის დასაბეჭდად.

კეთილი საქმეა!

წიგნი მეტად საყურადღებოა. გაზეთის „ახალ მიმოხილვის“ ფელეტონისტმა, ბ-ნმა ვეტერანმა, ბარე ერთი ოზმა ქაღალდი მოანდომა ამ წიგნის გარჩევას, მაგრამ ათი ამოდენა რო კიდევ დაეწეროს, მაინც რიგიანად ვერ მივხვდებით იმ ღრმა აზრს, რის სამსახურიც „ოპოზიციას“ უკისრია და რის გამოც მედგარს ომს აპირობს, თუმცა დარწმუნებულია, რომ ამ გზობით ვერას გახდება, და ამიტომ „წინდაწინვე კისრულობს დამარცხებას“.

ამისთანა აზრიანობით გამსჭვალულს და ქვეყნისათვის თავ-განწირულს „ოპოზიციასთან“ ომი ძალიან საშიშია. ჩვენ ვერ გავბედავთ. ღმერთმა დაგვიფაროს!

არც რიგია და არც თუ საბუთი გვაქვს. ჩვენ, პირიქით, ყოველისფერში ვეთანხმებით „ოპოზიციას“ და, როგორც-კი შეგვეძლება, დავეხმარებით, თუ თოფით არა, ჭრილობის შეხვევით მაინც.

ბ-ნმა ვეტერანმა-კი მასთან ომი არ იუკადრისა და შვიდჯერ-შვიდი საქაღამნო ტყავი აამრო; ჩაუდგა კვალში, ბატონო, და თვითო ფეხის გადადგმაზე, თვითო სიტყვის წამოურატალებაზე, წყვილ-წყვილი მათრახი შემოჰკრა, როგორ თუ შენ ვისიმე წინააღმდეგობა გაჰბედე, შე უმეცარო, არა წმინდად სახსენებელო, ბრაზიანო გაიძვერაო!

ცოდოა, ცოდო, ბ-ნო ვეტერანო!

ჩვენ არაფერში არ ვეთანხმებით ბ-ნ ვეტერანს და ყოველივე, „ოპოზიციის“ წიგნში აღბეჭდილი სიმართლედ მიგვაჩნია. სწორედ რო ვსთქვათ, ჩვენ ბანკების სიბრძნე-სიცრუვისა არა გვეყურება-რა, მაგრამ, რაც-კი საჩვენებელო ამოვიკითხეთ—ძალიან მოგვეწონა.

გულ-კეთილმა, სვინიდისიანმა და არაპირადის სარგებლობის მძებნელმა მოღვაწემ არავითარი გავლენა არ უნდა იქონიოს საზოგადოებაზედ, არავითარი ღონის-ძიება არ უნდა იხმაროს თავის სურვილის და აზრის განსახორციელებლად, ძალიან სასარგებლოდაც რო მიაჩნდეს თავისი აზრი საზოგადოებისა და ხალხისათვის. მოღვაწე უნდა შევიდეს კრების დარბაზში, სავარძელზე დაბრძანდეს, ლაპარაკის ნება ითხოვოს, მძიმედ წამოდგეს, დინჯად სთქვას ორიოდე სიტყვა,—მე ესა და ეს მინდაო,—და ისევ დაბრძანდეს. მიიღებს კრება იმის აზრს, თუ არა—რა იმის საქმეა, იმან ხომ ვალი მოიშორა? დაიბანოს პილატესავით ხელი და მოისვენოს: „მე ხომ მიყვალია, და თქვენ, გინდ გაიღვიძეთ, გინდ არაო!“

იმან რომ უსვინდისობაზე თავი დასდოს, თავის აზრის გულისთვის თავი წაიგლას და ყოველთვის თავისი ამჯობინოს, სხვა მოღვაწეები რიღას მოვაგლახენი არიან?

ჩვენი პრინციპი მკითხველებს უკვე მოეხსენებათ: ყოველივე უფლება და ქონება ნივთიერი, თუ უნივთო, თანასწორად უნდა გაუნაწილდეს საზოგადოების ყველა წევრს და უპირატესობა არავის არ უნდა მიეცეს, არც ნიჭიერს და არც უნიჭოს. მტკიცედ უნდა ვადგეთ ამ პრინციპს, რომ საქმე სავახსარებოდ არ გაგვიხდეს.

თუ არა და, საზოგადო საქმეს ერთი ვინმე ხელთ იგდებს და, როგორც თავისი ჭკუა გაუჭრის, ისე გარაგებს, „ამყოლს, მინდობილს საზოგადოებას“ ბურთივით ათამაშებს და ყველას,—ვინც-კი იმის წინააღმდეგს სიტყვას იტყვის და მაშინადვე ვერ დაასაბუთებს,—მიწასთან გაასწორებს, მუშტითა და წიხლით-კი არა,—ეს რა საჭიროა,—„იმ ძალით, რა ძალითაც თაყვანისცემასა და პატივს არ აკლებს დიდხნობამდე ბრბო ერისა ერთხელ რაიმე გარეშე (?!) მიზეზის გამო ღმერთად მიჩნეულს კერპს“.

ესეთი დამონავება საზოგადოებისა, ამომრჩევლებისა და, უმეტესად ერისა, სანატრელი არ არის. შეიძლება ვერპად მიჩნეულს მოღვაწეს დღემდის არა წაეხდინოს-რა, პირიქით, დიდი სარგებლობაც მოეჰქონდეს, მაგრამ, რა ვიცით, ხვალ და ზეგ რა იქნება? რა ვიცით, რომ ხვალ მტკვრის ხიდზე არ შეგვაყენებს და არ გვეტყვის: გადაბრძანდით წყალში, მე ესე განვსაჯე ქვეყნის საბედნიეროდაო!

განა უარს გაჰბედავს ვინმე იმ ამომრჩეველთაგანი, „რომელთაც თავიანთი ბედი და უბედობა ამორჩეულის კა-

ლთაში გაუხვევიათ და ისე ბრმად და თვალ ახვეულნი ენდობიან (რომელთაც გაუხვევიათ... და ენდობიან?!), რომ იმის პირიდამ ამოსული უმეცრება მეცნიერებად მიაჩნიათ, მრუდე აზრი და სიტყვა უმწვერვალეს (?) ჭეშმარიტებად, ხავს-მოკიდებული ოხუნჯობა დაუსრულებელ სიცილის წყაროდ?“

ამასთანა განსაცდელში რომ არ ჩავვარდეთ, საზოგადო და საქვეყნო საქმე ერთს კაცს, მეტადრე სხვაზედ ნიჭიერს, არ უნდა მივანდოთ. რა წამს დავატყოთ, რომ საზოგადო მოღვაწემ სახელი, ნდობა და პატივის-ცემა დაიმსახურა, მაშინადვე ჰანღური უნდა მოვუმზადოთ. „ოპოზიცია“ ამაზედ მეტს არასა თხოულობს! აბა ეს რა გასაკილავია?

„ოპოზიცია“ ამ შემთხვევაში მეტის-მეტს გულ-კეთილობას იჩენს, და ჩვენ მხოლოდ ამაში არ ვეთანხმებით. იმისთანა ყოვლად-შემძლებელს საზოგადო მოღვაწეს, როგორსაც „ოპოზიცია“ გვიხატავს, მარტო საქმის ჩამორთმევა, იარაღის აყრა, რას ეყოფა? სხვა უკეთესი იარაღი რო მოიგონოს და მოულოდნელად მძინარეებს თავს წამოგვადგეს?...

არა, ჩვენის აზრით, ერთხელ და სამუდამოდ რო თავს ვუშველოთ და სათაქრელ-სადარდელი არა დაგვრჩეს-რა, საჭიროა, იარაღის აყრის გარდა, მთლად ღირსება ჩამოვართვათ და სამშობლოდგან განვდევნოთ: კარგი ხარ, გენაცვალეთ, მაგრამ ჩვენ შენის შჯულისა გვეშინიან, სახათაბალო რამე არა ჩაიდინო-რა, არა გვიხიმანო-რაო!

ძველი ბერძნები განა ბრიყვები იყვნენ, რომ ამ ღონის-ძიებას ხმარობდნენ და საუკეთესო მამულიშვილებს, მთელის ერის საქადულს, ექსორიად ჰყოფდნენ, ხალხის მეტის-მეტი ნდობა და სიყვარული ბოროტად არ მოიხმარონო.

ჩვენც დღეს ეს ერთად-ერთი ღონისძიება დაგვრჩენია და, იმედია, „ოპოზიცია“ ჩვენს რჩევას და სამსახურს არ უარჰყოფს.

იმედია აგრეთვე, რომ რაზმს კარგად შეაწყობს, განამხნევებს, სამყოფს სურსათს დაუმზადებს და ომის შედეგით არ შეგვარცხვენს, თორემ, — ხომ გამოუცდია ჩვენთა მტერთა გულ-ქვაობა და „ხავს-მოკიდებული ოხუნჯობა“, — მაშინადვე ამისთანა მძიმე ლექსს, ან უფრო უარესსაც მოგვაყოლებენ ზურგში:

ავყმაწვილდი, ავცუნცრუკდი,
ავჩუჩუნდი, ავზუზუნდი,
ავკაჭკაჭდი, ავბულბულდი,
მაღლა თაროს აცავსკუპდი!..

—

გავტანადდი, გავზვიადდი,
გავგულისმხმდი, ბედსა ვსცდიდი;
გავალმასდი, გავამაყდი,
ჩემსა სწორად არვის ვსთვლიდი!..

—

„კერპმა“ თვალ-მკრა, — დავბარბაცდი,
დავსუსტდი და დავძაბუნდი,
დავსრიალდი, დავზრიალდი,
დავქანდი და დავბრახუნდი!..

⁂ წლევანდელი მაისი მეტად მოწყალეა: გრილა, თბილა, ცივა, ცხელა, — უკვლავერია; ვისაც რა მოეწონოს, იმით ისიამოვნოს; ქარი და ღრუბლებიც გულს არ გვაკლებენ. ბალახი ერთი გზობა მოითიბა და ხელ-მეორედ მოსათიბია. ყვავილით აივსო არე-მარე; ვარდიც-კი გაიშალა.

---

⁂ ქალაქელებს წვანილეული დაგვიმკვირდა: ამას წინად კიტრი ოთხი იყო აბაზად, ეხლა-კი ორსა და სამზე მეტს ვერ იყიდით; თვის ბოლოკი ორი კონა შაურია, აქამომდე-კი სამსაც იძლეოდნენ.

რედაქტორი ფ.ფ.

---

# დეპეშა

12 მაისი

**პეტერბურგი.** „Новое Время“-ს გაუგონია, კომისია შესდგა იმის პროექტის შესამუშავებლად, რომ ხარჯი დაედოს შემოსავალსაო. ხარჯი დაედება ყოველგვარს შემოსავალს 1000 მანეთზე მეტს, რა გვარი შემოსავალიც უნდა იყოს. ყველა ხელობისა და სამსახურის კაცს დაედება ხარჯი ვაჭარ-მრეწველთა თანაბრივ. ვაჭარ-მრეწველთათვის ასეთის ხარჯის შეწერის დროს მხედველობაში მიღებულ იქმნება ის ხარჯი და გარდასახადიც, რომელსაც უკვე იხდიან კანონისამებრ.

იმავე გაზეთს გაუგონია, პურის კომისიას ჰსურს განიხილოს ის საგანი, რომ ნება-დართულ იქმნას საზღვარ-გარედ ზიდვა შვრიისა და ქერისა ყველა ნავთ-სადგურიდგან. შავის პურის გაზიდვა, აღკრძალულ იქნება იმ დრომდე, ვიდრე არ გაიგებენ რა პირი გამოუჩნდება მოსავალს, ე. ი. 1 ივლისამდე მაინც.

**ამსტერდამი.** ნიდერლანდიის ბანკმა დასწია ოფიციალური დისკონტი 3%-დგან $2^1/_2$%-მდე.

12 მაისი

**პეტერბურგი.** ს.-პეტერბურგის ბირჟა: ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის 6%-ან გირავნობის ფურცლებში იძლევიან 101 მან., 5%-ანში თხოულობენ $99^1/_4$ მან., ქუთაისისაში — 6%-ში იძლევიან 101 მან., ხოლო 5%-ებში — $99^1/_2$ მან., ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციებში იძლევიან 98 მანათს.

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოდ დასტოვა საჩივარი მარგარინის ქარხნის პატრონის ანდერსონისა, რომელსაც ერთის თთვით დაპატიმრება გადაუწყვიტა მომრიგებელ მოსამართლეთა კრებამ ძროხის ერბოში მარგარინის გარევისათვის.

გუშინ ჩაუშვეს ზღვაში დიდთა მთავართა და მთავრინათა თანდასწრებით კორვეტი „Моряки“-ი აგებული ნევის ქარხნის გემთ-საშენებელში.

გაზეთები იუწყებიან, რომ ფინანსთა სამინისტროს მოხელენი და ყველა ისინი, ვინც დაესწრო კოპენჰაგენის გამოფენას 1888 წელს, ეპირებიან შირივან-დანიის მეფე-დედოფალს მდიდრული ალბომი და წერილი მილოცვისა 50 წლის შესრულების გამო მათ დაქორწინების დღიდამ.

**კოპენჰაგენი.** დედოფალმა, რუსეთის იმპერატრიცამ და პრინცესამ უელსისამ ეტლით გაისეირნეს დღეს კოპენჰაგენის ქუჩებში, რომლებიც მშვენივრად იყო მორთული მეფე-დედოფლის ქორწინების 50 წლის შესრულებისათვის. ყურადღების მიქცევის ღირსია უფრო მშვენივრად მორთული სახლები რუსეთისა და ბრიტანიის საელჩოთა სახლები.

პეტერბურგის ბირჟა, 12 მაისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,60 | 7,62 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 152 | $152^1/$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | $239^1/_4$ |
| — მეორისა | — ,, | — ,, | 219 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 194 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუადღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისათს.

---


# განცხადებანი

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—47)

ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია
ტფილისში
მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ
აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას.**

**ხელობადა აქვს კეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთს წუთს სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.
პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც ძალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.
ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.
მასტიკისა იატაკებისთვის.
მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და
იოდათორმით შეზავებული მარლისა.
უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წყურისთავისებურ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—13)

წარმოება
**ასფალტის სამუშაოთა.**
ისყიდება
**ასფალტი და გუდრონი**
უმაღლესად დამტკიცებული სიზრანის ასფალტის ქარხნის საზოგადოება ტფილისსა და ბათუმში.
მსურველთ უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ტფილისში, ალექსანდრეს ქუჩა, სახლი № 5 ი. მ. ჩერნიაევს;
ბათუმში, ბაღის ქუჩა, სახლი № 3 პ. პ. სუხანოვს.
(15—1)



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
**А. А. ТУТАЕВА.**
*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*
Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

**ალალო თუთაევის**
ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ
**ტფილისში:**
ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.
ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.
ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.
კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—10)


Дозв. ценз. Тифлисъ, 12-го Мая 1892 г.
სტამბა მ. შარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.